

განმავითარებელი შეფასების როლი მოსწავლეთა ჩართულობის
ამაღლებაში

ნათია გიორგაძე

ხათუნა სტეფლიანი

ანა გაფრინდაშვილი

*სამაგისტრო ნაშრომი წარდგენილია ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის
მეცნიერებათა და ხელოვნების ფაკულტეტზე განათლების ადმინისტრირების
მაგისტრის აკადემიური ხარისხის მინიჭების მოთხოვნების შესაბამისად*

განათლების ადმინისტრირების სამაგისტრო პროგრამა

სამეცნიერო ხელმძღვანელი: მოწვეული პროფესორი - სოფო გორგოძე



ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი

თბილისი, 2017

მადლობა

მადლობას ვუხდით, სსიპ - მიხეილ ჯავახიშვილის სახელობის, თბილისის N124 საჯარო სკოლის დირექტორს, ქალბატონ მადონა მუმლაძეს თანამშრომლობისთვის. საგნის მასწავლებელს, ქალბატონ ხათუნა ჯიოშვილს და მოსწავლეთა ჯგუფს, პრაქტიკის კვლევაში მონაწილეობისთვის.

განსაკუთრებულ მადლობას ვუხდით ჩვენი პრაქტიკის კვლევის ხელმძღვანელს, ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის მოწვეულ პროფესორს, ქალბატონ სოფო გორგოძეს, რომელიც ეტაპობრივად გვამღებდა რეკომენდაციებს და აქტიურად გვეხმარებოდა კვლევის სწორად წარმართვაში.

ასევე, დიდ მადლობას ვუხდით, მასწავლებელთა და დირექტორთა პროფესიული განვითარების პროექტის თანამშრომელს, ქალბატონ მარიანა ხუნძაყიშვილს, განმავითარებელი შეფასების ინსტრუმენტებით უზრუნველყოფისათვის.

სარჩევი

აბსტრაქტი	1
1. საკვლევი საკითხი/პრობლემა	3
2. კვლევის მიზანი და ამოცანები	4
3. საკვლევი კითხვები	5
4. ლიტერატურის მიმოხილვა	5
4.2 რა არის განმავითარებელი შეფასება?	6
4.2 მოსწავლეთა ჩართულობა	10
4.3 ჩართულობის განმსაზღვრელი ფაქტორები.....	15
5. კვლევის მეთოდები	18
6. დიაგნოსტიკების ეტაპის მონაცემთა ანალიზი	21
6.1 მოსწავლეთა კითხვარის შედეგები.....	21
6.2 ფოკუს-ჯგუფის შედეგები.....	26
6.3 მასწავლებელთან ინტერვიუს შედეგები.....	26
7. ინტერვენციების ეტაპები	28
7.2 მოსწავლეთა მიერ ინტერვენციების შეფასება	36
7.2 ინტერვენციების შედეგები	37
7.3 ფოკუს-ჯგუფის შედეგების ანალიზი	42
7.3 ინტერვიუ მასწავლებელთან	43
8. კვლევის შეზღუდვა	45
9. რეკომენდაციები	46
10. დასკვნა	47
11. ბიბლიოგრაფია	49
12. დანართები	
12.1 დანართი #1: მოსწავლეების ჩართულობის საზომი კითხვარი.....	52
12.2 დანართი #2: მოსწავლეების ფოკუს-ჯგუფის კითხვარი(დიაგნოსტიკების ეტაპზე).....	55
12.3 დანართი #3: ინტერვიუ მასწავლებელთან(დიაგნოსტიკების ეტაპი).....	56

12.4 დანართი #4: მოსწავლეების ფოკუს-ჯგუფის კითხვარი (ინტერვენციების შემდგომ ეტაპზე)	58
12.5 დანართი #5: ინტერვიუ მასწავლებელთან(ინტერვენციების შემდგომ ეტაპზე)	58
12.6. დანართი #6: ინტერვენცია - „დაუსრულებელი წინადადებები.“	59

აბსტრაქტი

აღნიშნული ნაშრომი წარმოადგენს პრაქტიკის კვლევის ანგარიშს თემაზე: „განმავითარებელი შეფასების როლი მოსწავლეთა ჩართულობის ამაღლებაში“, რომელიც ჩატარდა სსიპ - მიხეილ ჯავახიშვილის სახელობის, თბილისის N124 საჯარო სკოლაში, მე-7^ბ კლასში, გეოგრაფიის საგანზე.

კვლევის მიზანი იყო, განმავითარებელი შეფასების საშუალებით გაგვეზარდა მოსწავლეთა ჩართულობა საგაკვეთილო პროცესში, რადგანაც განმავითარებელი შეფასების ინსტრუმენტების გამოყენება მოსწავლეთა სასწავლო პროცესში ჩართვის ერთ-ერთი განმსაზღვრელი ფაქტორია.

კვლევის მიმდინარეობის დროს გამოვიყენეთ სამი სახის კითხვარი: მოსწავლეთათვის, მოსწავლეთა ფოკუს-ჯგუფისთვის და მასწავლებელთან ინტერვიუსთვის. მოსწავლეთა კითხვარში შემავალი კითხვების ნაწილი ჩვენ მიერ იყო შედგენილი, ნაწილი კი ვთარგმნეთ საერთაშორისო სამეცნიერო ჟურნალში გამოქვეყნებული კვლევიდან, რომელიც ეხებოდა მოსწავლეთა სწავლის მოტივაციას. ფოკუს-ჯგუფის და მასწავლებლის ინტერვიუს კითხვები კი სრულად იყო ფორმულირებული ჩვენ მიერ. გამოკითხვა ჩავატარეთ დიაგნოსტიკისა და ინტერვენციების ეტაპებზე. მოსწავლეთა კითხვარები დიაგნოსტიკისა და ინტერვენციების შემდგომი ეტაპისთვის იყო ერთნაირი, ხოლო ფოკუს-ჯგუფის და მასწავლებლის ინტერვიუს კითხვარები ინტერვენციების შემდგომ ეტაპზე შევცვალეთ. მოსწავლეთა კითხვარი შედგებოდა 16 კითხვისგან, საკვლევ ჯგუფში იყო 26 მოსწავლე. დიაგნოსტიკის ეტაპზე კითხვარები შევიტანეთ ათკაციან ფოკუს-ჯგუფში, ხოლო ინტერვენციების შემდეგ თორმეტკაციან ფოკუს-ჯგუფში. ინტერვიუ ჩავატარეთ მე-7^ბ კლასის გეოგრაფიის მასწავლებელთან.

ჩვენ მიერ ჩატარებულმა კვლევამ დაადასტურა, რომ მოსწავლის სასწავლო პროცესში ჩართულობის ამაღლებაში დიდი როლი აქვს განმავითარებელ შეფასებას. კვლევის ანალიზის შედეგად გამოიკვეთა, რომ გაიზარდა როგორც მოსწავლეთა

აქტიურობის მაჩვენებელი, ასევე მათი სწავლის მოტივაცია, რაც კავშირშია მათი აკადემიური მოსწრების მაჩვენებლის ზრდასთან.

საკვანძო სიტყვები: განმავითარებელი შეფასება, ჩართულობა, მოტივაცია, აკადემიური მოსწრება.